ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ნ. მალაზონიასი

№ 19 (1341) ოქტომბერი 1970
ნიანგი
გამოდის 47-ე წელი ფასი 20 კაპ.

— რა ჭირს, ნეტავ, ამ საცოდავს, სულ რომ არ ძინავს?
— ბალიშები და მუთაქები ფულით ჰქონია გამოტენილი, და, რა დააძინებს?!

ძმური სალამი 50 წლის საბჭოთა აზერბაიჯანს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოძმე აზერბაიჯანელმა ხალხმა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, დიდი ზეიმით აღნიშნა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სახელოვანი 50 წლისთავი.

დღეს საქართველო გილოცავს!

ორთავიანი არწივის
სისხლისმწოვ ჩრდილში იყავ,
გენატრებოდა ჭრაქი და
ხიში — უბრალო ხის კავი.
გაჩანაგებდა უწყლობა,
ირწყვოდი ცრემლის წვეთებით
და გაჩენის დღეს წყევლიდნენ
შავჩადრიანი დედები...
უცხოელ კაპიტალისტთა
ხარბმა მახვილმაც დაგკოდა:
მოჰქონდათ ცეცხლი—მტანჯველი,
ნავთი გაჰქონდათ ბაქოდან.
ბოლოს აღსდექი! — აგევსო
უღვთო მოთმენის ფიალა:
ხანძარმა რევოლუციის
მოგიცვა, აგაბრიალა.

თვითმპყრობელობის ტახტისთვის
ულმობელ ალად აფეთქდი
დიდი ლენინის გენიის
გაუქრობელი ნაპერწკლით.
დალეწე ყველა ბორკილი —
თავისუფლების მომსპობი —
და დროშა ააფრიალე
გამარჯვებული ოქტომბრის.
თუმცა ჩაგაქრეს დროებით,
ისევ აღენთე ბრძოლისთვის,
მზედ შეადედე დაღვრილი
სისხლი ოცდაექვს კომისრის...
და დაუბრუნე მშრომელებს
ბედნიერება ნანატრი.
დღეს გშვენის შრომის ზეიმი,
სამშვიდობო ცა დაგნათის.

ხარ „შავი ოქროს“ საბადო —
ცენტრი მსოფლიო ნავთობის,
შენს საექსპორტო საქონელს
იღებს ქვეყანა ათობით.
პარტიის სიბრძნით შეჰქმენი
დიდი ცხოვრება ახალი
და ციფრებსა და ფაქტებში
გაანამდვილე ზღაპარი.
ლენინის ორი ორდენი
მზის ელვარებით უცინის
ორდენს — შენს მკერდზე
დაბნეულს—
ოქტომბრის რევოლუციის.
ხალხთა მარადი ძმობაა
შენი გზისმკვლევი ვარსკვლავი.
დღეს საქართველო გილოცავს,
გეხვევა, გკოცნის ძმასავით!

„ᲙᲘᲠᲐᲞᲘ“ — აზერბაიჯანის სსრ სატირისა და იუმორის ჟურნალი.

ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘ.

— ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲗᲣ ᲮᲐᲠ, ᲬᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲥ ᲘᲕᲐᲭᲠᲔ, ᲐᲮ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲪᲐᲚᲔ!

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ?
— ᲠᲐ ᲡᲭᲘᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ, ᲛᲗᲔᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲔᲒ ᲐᲠᲩᲔᲜᲡ!

ნახ. გ. ფირცხალავასი.

ადვოკატი: პატივცემულო სასამართლო! მე პროტესტს ვაცხადებ ქონების კონფისკაციაზე, რადგან მთელი ქონება აგერ სახეზეა, კოდა, კაცს ცოლს ხომ არ წავართმევთ?!

— რას სჩადით! არა გრცხვენიათ?!
— მაცალე, თუ კაცი ხარ, ჩვენი მაღაზიის ნოქარია, და, საკუთარ ფულს ვიბრუნებ!

თავზეხელაღებული მძღოლი

ჯემს კუკის, მარკო პოლოს, ამერიგო ვესპუჩის, კოლუმბის, მაგელანისა და სხვა დიდ მოგზაურთა სახელებს კიდევ ერთი გვარი შეემატა, და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი ჩვენი დედაქალაქის მკვიდრია — ზურაბ შალვას ძე *ტყემალაძე*.

ერთმა უბრალო შემთხვევამ დასაბამი მისცა უცნაურ მოვლენას. აგერ ახლა, 1970 წლის 12 აგვისტოს, ზურაბ *ტყემალაძე* თავის მეგობრებს დაენიძლავა, რომ სათამაშო მანქანით შეიძლება საკმაოდ დიდი მანძილის გავლა. შემუშავდა ზუსტი მარშრუტი: ჭავჭავაძის პროსპექტი-ვარაზის ხევი-გმირთა მოედანი-ლენინის მოედანი-რუსთაველის პროსპექტი და ისევ ჭავჭავაძის პროსპექტი.

ამ განუმეორებელ მოგზაურობას სტარტი მიეცა ღამის 2 საათსა და 00 წუთზე.

ზურაბ ტყემალაძემ თავისი დედის, ელისო პარმენის ასულ გელაშვილის კუთვნილ „ვოლგას" (სახელმწიფო ნომერი გრხ 60-06) გამოუბა საბავშვო მანქანა, შიგ თავისი ამხანაგი ჩასვა და დასახული მარშრუტის მიხედვით დაბრკოლებათა გადალახვას შეუდგა.

თითქოს ჩანაფიქრი პროგრამის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ ძვირფასი წუთები დააკარგვინა ზ. *ტყემალაძეს*... ღამის გუშაგებმა დააყოვნეს მისი მსვლელობა, აქაო და ღამე ასეთი ღრიანცელით სიარული და ისიც ამ გამობმული საბავშვო მანქანით, რომელიც ეს-ესაა ნაწილ-ნაწილ დაიშლება, არ შეიძლება.

ეკიპაჟმა, რომლის რაოდენობა ოთხი კაცისაგან შედგებოდა (ერთი მათგანი საბავშვო მანქანაში იჯდა), დაიწყო მილიციის თანამშრომლების დარწმუნება, რომ ხდება საისტორიო ამბავი, რომ მათი მოგზაურობა მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება და რომ მათი ხელშემწყობნიც ღირსეულად იქნებიან დაფასებულნი.

არაფერმა არ გაჭრა.

მაშინ ზურაბ *ტყემალაძემ* ოპერატიული გადაწყვეტილება მიიღო, სასწრაფოდ იხმო ეკიპაჟი, თვალის დახამხამებაში მოწყვიტა ადგილს მანქანა და დასახული მარშრუტით გაქანდა, ხოლო წესრიგის დამცველებს ხელში მანქანის მართვის უფლება შეატოვა.

ამ დიდი გადარბენის მოწმენი გახდნენ მხოლოდ ჭავჭავაძის პროსპექტის ნამძინარევი ბინადარნი.

ზურაბ *ტყემალაძემ*, როგორც გაბედულმა და თავზეხელაღებულმა მძღოლმა, ჯერ კიდევ 1964 წელს მიიქცია სახავტოინსპექციის ყურადღება.

1965 წელს კომისიამ კვლავ განიხილა *ტყემალაძის* საქმე.

1967 წელს ზ. *ტყემალაძე* ღირსეულად „დაჯილდოვდა" სიჩქარის გადაჭარბებისათვის.

1968 წელს დარღვევების მთელი სერიების გამო, ზურაბს დაევალა საფუძვლიანად შეესწავლა ქუჩაში მოძრაობის წესები. მან ჩააბარა გამოცდები და დაიბრუნა მართვის უფლება.

1970 წლის 13 ივლისს, *ტყემალაძემ* კვლავ ჩააბარა ქუჩაში მოძრაობის წესები და ზუსტად ერთი თვის შემდეგ ქვეყანა გააოცა თავისი გაბედულებითა და საზრიანობით.

სამწუხაროდ, ავტოინსპექციის მიერ არ არის დადგენილი, ფხიზელი თუ ნასვამი იყო *ტყემალაძე* გადარბენის მომენტში, არსებობს მხოლოდ ვერსია იმის შესახებ, რომ ასეთი უპრეცედენტო, სახიფათო ნაბიჯის გადადგმა ფხიზელ ადამიანს გაუჭირდებოდა, მაგრამ ვერხია ვერსიად რჩება. ჭეშმარიტების დადგენა მომავალ მკვლევარებს მივანდოთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სათანადო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და ზურაბ *ტყემალაძეს* აუგონ მონუმენტი უნივერსიტეტის წინ, წარწერით: „შენ დაამტკიცე, რომ სათამაშო მანქანა შეიძლება ჩვეულებრივ მანქანად იქცეს, ხოლო ჩვეულებრივი — სათამაშოდ".

ა. შუბითიძე
ვ. გავაშელი

ნახ. ბ. ლომიძისა


ბაზარი
ბანკი
ბინა
ბინა
ბინა

ᲓᲐᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ

1. ᲕᲘᲡᲐᲪ ქუდი ახურავს, ყველას როდი აქვს თავი ქუდში.
2. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ადამიანის სიცოცხლე დილა-საღამოს ჩაცმა-გახდადაც არა ღირს.
3. ᲡᲐᲜᲐᲛ დაღმართზე ჩამოსვლა არ იცი, აღმართზე ასვლა დიდი გმირობა ნუ გგონია!
4. ᲣᲰᲙᲣᲝᲓ დახარჯული ფული ჭკუას ბოლოს გასწავლის!
5. ᲗᲐᲕᲨᲘ მოსული ყველა აზრი ყურში გასაგონარი არ არის.
6. ᲥᲐᲚᲘᲡ თხოვაში აჩქარება არ გმართებს, მაგრამ დაგვიანებულს ისევ ნაჩქარევი ჯობია!

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘ — ჯერ შენი ცოლი რომ გამოზარდა და ახლა შენ რომ გზრდის.

ᲨᲕᲘᲚᲘ — შენი იმედით რომ ცხოვრობს და მისი იმედით რომ კვდები.

ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ — წყალმა რომ უნდა წაიღოს და იმასაც არ მიაქვს.

ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ — ყველა რომ არიგებს და არავინ რომ არ იღებს.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ — საქმეს ასჯერ რომ დაგიბრუნებს და სიტყვას ერთხელ რომ ვერ შეუბრუნებ.

ᲯᲝᲜᲓᲝ ᲛᲔᲡᲮᲘ

ნახ. მ. აგაშიძისა

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ნახ. ა. კანდელაკისა



— ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲔᲠᲪᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲖᲣᲠᲘᲙᲝᲡ ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ!
— ᲙᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲒᲝᲯᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲞᲐᲢᲔᲑᲘ?..

ნახ. ჯ. ლოლუასი



ᲠᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ

ᲑᲐᲚᲐᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲖᲔ

სადღაა წყალი, — ვინატრით საშემოდგომო რთველივით,
ეს სამი თვეა, ონკანი დუმს ჩვენი სახლმმართველივით...
იმ დალოცვილს კი (უმწარეს სიმართლეს, ვიცი, ვით
იწყენს) —

წყალი სწყურია, — ღვინოს სვამს,
არაყს სვამს, — წყალს სულ ივიწყებს...
ჩვენ რაღად გავახსენდებით („არ შერჩა“ ხსოვნის
უნარი),

სად ჭიქა გაჭახუნდება, არის იმ სახლის სტუმარი...
სუფრის რიგითი წევრიდან დაწინაურდა თამადად,
კარიერისტის ალღო აქვს (ქცეულა სმად და ჭამადა)
სულ სუფრებს მართავს, სახლების მართვის არც არის
მნატვრელი,

ᲤᲘᲥᲢᲘᲣᲠ: სახლმმართველია,
ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠ: სუფრის მმართველი!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲗᲔᲙᲐᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ
ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲚᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ
ᲡᲐᲓ. ᲚᲘᲚᲝ ᲨᲞᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲝᲡᲢ 6810.65

შპალერ! სანამ ნაწიბურებს მოაჭრით და გააკრავთ კედლებზე, წინასწარ უნდა შერეული იქნას ფერები.
წარი ქაღალდის გაკვრით. გამზადებული წებო უნდა ...
შპალერის გაკვრა წარმოებს მხოლოდ მშრალ კედელზე წინასწარ გაცივებულ მდგომარეობაში შპალერზე წებოს წასმა უნდა მოხდეს თხელ ფენად ერთნაირად სუფთა ფუნჯით დაუშვებელია შპალერის დალბობა.

ᲚᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ!

ᲨᲞᲐᲚᲔᲠᲘᲡ გაკვრა ხომ ვისწავლეთ და ვისწავლეთ, მაგრამ ახლა თუ იმასაც გვასწავლით, როგორ გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე ასეთი მორეკლამე, მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მამია მალაზონიასი



— ექიმო, მამაჩემმა გნახათ?
— კი!
— პატივი გცათ?
— კი!
— აბა, რაა, ამხელა ნემსი?!

— თქვენ ხომ იცით, რომ ძალიან დატვირთული ვარ და არავის ვიღებ?
— ისიც ძალიან დატვირთულია, პორფირიჩ!

სარედაქციო ფოსტიდან

შემოუსვლელი და გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ
დავდგეთ იქ, სადაც დარღვევაა!
კუდისრიკამდე მივყვეთ საჩივრებს!
ესეც შენ ავაზაკო!

რედაქციამ მიიღო სიგნალი ავტომოტომძღოლ **პ. მ. ჭ-საგან,** რომელიც დაუნდობლად ამხელდა სოფელ **ხაჭაპურას** მაღაზიის გამგის — **ფ. ფ. ფულარიას** უმსგავსო, აღვირახსნილ, ყურით გაუგონარ ქმედობას, რაც გამოიხატა მის მიერ მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებასა, ფასდამახინჯებასა და ვაჭრობის წესების უხეშ დარღვევაში.

რედაქციამ გამოჰყო კომისია, რომელმაც ძირფესვიანად შეისწავლა სიგნალი და წერილი ზომების მისაღებად გადაუგზავნა რაიაღმასკომს, საიდანაც გვაცნობებენ, რომ ამ უკანასკნელმა ასევე ძირფესვიანად შეისწავლა სიგნალი, გამოჰყო კომპეტენტური კომისია და დაავალა მას, რომ ძირფესვიანად შეესწავლა წერილში აღნიშნული ფაქტები. კომისიამ არ დააყოვნა წერილში აღნიშნული ფაქტების ძირფესვიანად შესწავლა და იგი ზომების მისაღებად გადაეგზავნა რაიკოოპკავშირს. რაიკოოპკავშირსაც ჰყავს კომისია, რომელმაც ოპერატიულად განიხილა მამხილებელი მასალები და სწრაფად გადაუგზავნა ზომების მისაღებად სოფელ ხაჭაპურას სოფსაბჭოს. ხაჭაპურას სოფსაბჭომ, აქტივზე დაყრდნობით, შექმნა სათანადო, ავტორიტეტული კომისია, რომელმაც სათანადოდ და ავტორიტეტულად, არანაკლებ ძირფესვიანად შეისწავლა საჩივარი, რის შემდეგაც წერილი ზომების მისაღებად, დანიშნულებისამებრ, გადაუგზავნა სოფელ ხაჭაპურას უნივერსალური მაღაზიის ადგილკომს. ადგილკომმა ოპერატიულად გამოჰყო კომისია, რომელმაც, საკითხის ძირფესვიანად შესწავლის შემდეგ, სიგნალი ზომების მისაღებად გადაუგზავნა სოფელ ხაჭაპურას მაღაზიის მომხმარებელთა საბჭოს.

სოფელ ხაჭაპურას მაღაზიის მომხმარებელთა საბჭომ თავის სპეცსხდომაზე სპეციალურად იმსჯელა **ფ. ფულარიას** უხეშ დარღვევებზე და მკაცრი ადმინისტრატიული სასჯელი დაადო მას — **ფულარიას მიეთითა!**

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический
журнал «Ниангги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
10/IX-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/X-70 წ.
ქაღალდის ზომა
70×108¹/₈.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 2699.
УЕ № 02180
ტირაჟი 120.600.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

1/1970
70-641

LONDON

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისში სულ უფრო იზრდება უმუშევრობა

— თქვენ ლონდონში ტურისტად ჩამოხვედით?
— არა, სამუშაოს დავეძებთ.
— მაშინ, გირჩევთ, განაგრძოთ გზა, ახლახან მთელი მუშლონი გავისტუმრეთ სამუშაოს საძებნელად!

641 70
20.+